

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
„მუსიკა და დღევანდელი - მუსიკის ტექნოლოგია“
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნა

პროგრამაზე „მუსიკა და დღევანდელი - მუსიკის ტექნოლოგია“ აბიტურიენტი ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებისა და ერთიანი ეროვნულ გამოცდებამდე, პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველზე. კერძოდ, ნერთი ფორმატის ტესტით შეფასდება აბიტურიენტის მუსიკალურ-სმენითი უნარები. იგი უნდა ერკვეოდეს მუსიკალურ დამწერლობაში; ცნობდეს ნოტებს როგორც ვიოლინოს, ისე ბანის გასაღებში; შეეძლოს შედარებით რთული რიტმული ნახაზის ჩანაწერთან იდენტიფიცირება და ტაქტების დაჯგუფება (როგორც მარტივ, ისე რთულ ზომებში); ჰქონდეს წარმოდგენა რეგისტრების შესახებ; სმენით უნდა არჩევდეს ერთმანეთისგან მაჟორულ და მინორულ კილოს. აბიტურიენტს უნდა ჰქონდეს საბაზისო წარმოდგენა სიმფონიური ორკესტრის ჯგუფებისა და საკრავების შესახებ.

მუსიკალურ-სმენითი უნარების შესამოწმებლად აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს გამოცდა/ტესტი კონსერვატორიაში; ყველა დადებითი შედეგების მქონე აბიტურიენტის მონაცემები გაიგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

აბიტურიენტის მუსიკალურ-სმენითი უნარები ფასდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 51-100.